სასწავლო კურსის სახელწოდება	**საორკესტრო კლასი** საორკესტრო სიმებიანი მიმართულება ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულება
სასწავლო კურსის კოდები	**S-BA-S04-I** **S-BA-S04-II** **S-BA-S04-III** **S-BA-S04-IV** **S-BA-S04-V** **S-BA-S04-VI** **S-BA-S04-VII** **S-BA-S04-VIII**
კურსის განხორციელებაში ჩართული პირები	საორკესტრო სიმებიანი საკრავების მიმართულების ტუტორი; საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულების ტუტორი; საორკესტრო პროექტის ხელმძღვანელი/ დირიჟორი; საკონტაქტო პირი - თაონა ბუაძე
სილაბუსის ავტორები	გიორგი თაგაური თამარ ბულია ირაკლი ევსტაფიშვილი პაატა ებრალიძე
სასწავლო კურსის სტატუსი	საბაკალავრო პროგრამა - საშემსრულებლო ხელოვნება. საორკესტრო სიმებიანი საკრავების, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების სპეციალობის სავალდებულო კურსი
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	8 სემესტრი. სწავლება მიმდინარეობს ინტენსიური სწავლების ფორმატით და ითვალისწინებს პროექტის შესრულებას. თითეული პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 10-14 საკონტაქტო დღეს. კურსის ფარგლებში სასწავლო მეცადინეობების გრაფიკი ერთნაირია.

ECTS კრედიტების რაოდენობა	40 ECTS თითოეული სემესტრში განხორციელდება 5 ECTS-ის მოცულობის სხვადასხვა სირთულის: ა) ერთი 5 ECTS კრედიტის მოცულობის ან ბ) ორი 2.5 ECTS კრედიტის მოცულობის პროექტი. I-VIII სემესტრების განმავლობაში საორკესტრო კლასში კრედიტების მოსაპოვებლად სტუდენტის აქტივობა <u>თითოეულ სემესტრში</u> ხორციელდება შემდეგნაირად: **თითეული პროექტის საკონტაქტო მუშაობა მოიცავს: <u>33 - 45 სთ.</u>** ა) 10 დღიანი - <u>33 სთ.</u> ტუტორთან: <u>9 სთ.</u> მათ შორის: 2 დღე x 1,5 სთ. = 3 სთ. + 2 დღე x 3 სთ. = 6 სთ. დირიჟორთან: <u>24 სთ.</u> მათ შორის: 6 დღე x 4 სთ. = 24 სთ. ბ) 14 დღიანი - <u>45 სთ.</u> ტუტორთან: <u>13.50 სთ.</u> მათ შორის: 3 დღე x 1,5 სთ. = 4.50 სთ. + 3 დღე x 3 სთ. = 9 სთ. დირიჟორთან: <u>32 სთ.</u> მათ შორის: 8 დღე x 4 სთ. = 32 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა <u>30 სთ-17.5 საათი.</u> 5 ECTS კრედიტიანი პროექტის შემთხვევაში სტუდენტის საათობრივი დატვირთვა ორმაგდება და ხორციელდება სემესტრში მხოლოდ ერთხელ.
სასწავლო მოდულის მიზანი	სასწავლო მოდულის მიზანია, აღზარდოს ორკესტრის პროფესიონალი არტისტი, რომელიც დაეუფლება ორკესტრში დაკვრისს ხელოვნებას, შეიძენს ორკესტრში თავისუფლად ორიენტაციის უნარს, გამოიმუშავებს პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე და გააცნობიერებს როგორც თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში. მოდულის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება საკუთარი საორკესტრო პარტიის დამოუკიდებლად მომზადების უნარი, ორკესტრში სოლოებისა და კადენციების შესრულების უნარი, შეისწავლის ორკესტრში ცალკეული ჯგუფების მოსმენას და მათთან ბალანსში დაკვრას, დაეუფლება ორკესტრული ინტონირების სპეციფიკას, როგორც მუზიცირების უმთავრესს პირობას, შეძლებს დირიჟორის ხელის მოძრაობაზე და მის ჟესტიკულაციაზე რეაგირებას, მუდმივად იზრუნებს საორკესტრო ლიტერატურის ცოდნის გაფართოებაზე, დააგროვებს ღირებულ საორკესტრო გამოცდილებას, რაც დაეხმარება პროფესიული ცოდნის გაღრმავებასა და წარმატების მიღწევაში. ***მხოლოდ ჩასაბერი-დასარტყამი საკრავების მიმართულებისთვის და არფისთვის*** - კურსდამთავრებული დამატებით დაეუფლება ორკესტრში სოლოების და კადენციების დაკვრის ხელოვნებას.
სასწავლო მოდულის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობების გარეშე
სასწავლო მოდულის შინაარსი	ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის, იმპრესიონიზმის, მე-20 და 21-ე ს.ს. სიმფონიური, ვოკალურ-ინსტრუმენტული, ორატორიული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები, სიმებიანი და ჩასაბერი ორკესტრების რეპერტუარი და ინსტრუმენტალისტებისა და ვოკალისტების აკომპანირება **შენიშვნები:** ● საორკესტრო რეპერტუარი საერთოა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის. ● საორკესტრო კლასის პროგრამა შეირჩევა ორკესტრში მონაწილე სტუდენტთა მონაცემების, მომზადების დონისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

<table>
<tr><td>**სწავლების მეთოდები**</td><td>

ინდივიდუალური სწავლება;
ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
გუნდური სწავლება (ე.წ. Team teaching);
ჯგუფური მუშაობა;
პრაქტიკული მეთოდი (რეპეტიცია);

</td></tr>
<tr><td>**შეფასება-შემოწმების სტანდარტი**</td><td>
ცოდნის შეფასება 100 ქულიანი (კომბინირებული)

<table>
<tr><td>ქულები</td><td>ქულების ასოითი აღნიშვნა</td><td>შეფასების აღნიშვნა</td></tr>
<tr><td>91 - 100</td><td>A</td><td>ფრიადი</td></tr>
<tr><td>81 - 90</td><td>B</td><td>ძალიან კარგი</td></tr>
<tr><td>71 - 80</td><td>C</td><td>კარგი</td></tr>
<tr><td>61 - 70</td><td>D</td><td>დამაკმაყოფილებელი</td></tr>
<tr><td>51 - 60</td><td>E</td><td>საკმარისი</td></tr>
<tr><td>41 - 50</td><td>FX</td><td>ვერ ჩააბარა</td></tr>
<tr><td>0 - 40</td><td>F</td><td>ჩაიჭრა</td></tr>
</table>

შეფასება-შემოწმების სტანდარტი ერთგვაროვანია ყველა პროექტში.

საორკესტრო კლასში კრედიტების მოსაპოვებლად სტუდენტის ცოდნის შემოწმება <u>თითოეულ პროექტში</u> ხორციელდება შემდეგნაირად:

1. საორკესტრო პარტიების ინდივიდუალურად ჩაბარება 40 ქულა (გამსვლელი ქულა 21)

2. ჯგუფურ რეპეტიციებში მონაწილეობა 30 ქულა (გამსვლელი ქულა 15) *

** როდესაც რეპერტუარიდან გამომდინარე, გარკვეული საკრავები: არფა და ზოგიერთი ჩასაბერი და დასარტყამი, არ მონაწილეობენ საკონცერტო პროგრამაში, ასეთ შემთხვევაში, ტუტორები მათთვის ადგენენ ცალკე რეპერტუარს, სადაც აღნიშნული საკრავები შეიძლება დაჯგუფდნენ და ამ დროს, გამონაკლისის სახით, მათი შეფასება მოხდება ორი კომპონენტით შემდეგნაირად:*

1. **საორკესტრო პარტიების ინდივიდუალურად ჩაბარება 40 ქულა (გამსვლელი ქულა 21)**

2. ჯგუფში მონაწილეობა 60 ქულა (გამსვლელი ქულა 30)

3. გაერთიანებულ რეპეტიციებში მონაწილეობა 30 ქულა (გამსვლელი ქულა 15) *

** სავალდებულოა მინიმუმ სამ რეპეტიციაზე დასწრება;*

4. გენერალურ რეპეტიციაზე და ღია აკადემიურ საორკესტრო კონცერტში მონაწილეობა - ჩათვლა.

<u>**გენერალურ რეპეტიციასა და ღია აკადემიურ კონცერტზე დაშვების წინაპირობაა პირველ სამ კომპონენტში გამსვლელი ქულების დაგროვება. კრედიტის მისაღებად აუცილებელია მე-4 კომპონენტში ჩათვლის მიღება. თუ სტუდენტი მე-4 კომპონენტში ჩათვლას ვერ მიიღებს, წინა სამ კომპონენტში მიღებული მისი შეფასებები ანულირდება.**</u> *****

** ჩათვლის საპატიო მიზეზით ვერ მიღების შემთხვევაში (სათანადო საბუთის წარმოდგენისას) სტუდენტს შეუნარჩუნდება წინა სამ კომპონენტში მიღებული შეფასებები.*

შეფასების კრიტერიუმები წარმოდგენილია დანართების სახით (იხ. დანართები #1, #2 და #3).
</td></tr>
</table>

სწავლის შედეგები	**I სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს საორკესტრო პარტიის კითხვისა და გაგების პრინციპებს; 2. იცნობს ორკესტრში ორიენტაციის პრინციპებს; 3. იცნობს ინტონაციაზე, ტემპსა და დინამიკაზე მუშაობის პრინციპებს. 4. იცნობს დირიჟორთან მუშაობის სპეციფიკის ძირითად ელემენტებს; 5. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; 6. აცნობიერებს როგორც საკუთარი თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში; უნარები 1. ასრულებს თავის პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაბამისად. 2. ახდენს ინსტრუმენტების კომბინირებას ბალანსისა და ფუნქციის შესაბამისად; 3. ასრულებს დირიჟორის მითითებებს; 4. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებსა და შეცდომებს; 5. ტუტორის დახმარებით გეგმავს საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს, რაც გულისხმობს: მოცემული ტექსტის გაცნობას, პარტიის შესწავლის ამოცანების დასახვას, შესწავლის პროცესის გამარტივებისთვის მოცემული ნაწარმოების ეპიზოდებად დაყოფას. 6. მუშაობს გუნდში; 7. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში; **II სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს საორკესტრო პარტიის კითხვისა და ტრანსპონირების პრინციპებს; 2. ფლობს ორკესტრში ორიენტაციის პრინციპებს; 3. ფლობს ინტონაციაზე, ტემპსა და დინამიკაზე მუშაობის პრინციპებს. 4. ფლობს დირიჟორთან მუშაობის სპეციფიკას; 5. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; 6. აცნობიერებს როგორც საკუთარი თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში; უნარები 1. ასრულებს თავის პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. ავითარებს გუნდურ გარემოში შესრულების ტექნიკასა და საორკესტრო უნარებს (ორკესტრის ჯგუფების მოსმენა და ბალანსში დაკვრა); 3. ასრულებს დირიჟორის მითითებებს; 4. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებსა და შეცდომებს; 5. ტუტორის დახმარებით გეგმავს საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს, რაც გულისხმობს: მოცემული ტექსტის გაცნობას, პარტიის შესწავლის ამოცანების დასახვას, ტექნიკური სირთულეებიდან გამომდინარე - დამხმარე მასალის შერჩევას. 6. მუშაობს გუნდში; 7. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში;

	III სემესტრი ცოდნა გაცნობიერება 1. <u>განსაზღვრავს</u> საორკესტრო რეპერტუარისათვის დამახასიათებელი სტილის ელემენტებს; 2. <u>ფლობს</u> კომპოზიტორის მიერ მოცემული ნიუანსებისა და არტიკულაციის გათვალისწინებით შესრულებაზე მუშაობის პრინციპებს. 3. <u>გრძნობს</u> ინდივიდუალური პარტიის ურთიერთკავშირს დანარჩენ ორკესტრთან შესრულების პროცესში. 4. <u>ფლობს</u> კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; 5. <u>აცნობიერებს</u> როგორც საკუთარი თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში; უნარები 1. <u>ასრულებს თავის პარტიას</u> სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. <u>ასრულებს</u> ჯგუფში საკუთარ პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებული წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის მნიშვნელობის გააზრებას. 3. <u>ადაპტირებს</u> დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე; 4. <u>აანალიზებს</u> შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებსა და შეცდომებს და ასწორებს მათ; 5. <u>გეგმავს</u> დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს, რაც გულისხმობს: ყველა ელემენტის - მუსიკალურ გამომსახველობითი და ტექსტური სირთულის შესწავლას. 6. <u>მუშაობს</u> გუნდში; 7. <u>ითვალისწინებს</u> პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში; **IV სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. <u>ფლობს</u> ორკესტრული ინტონირების სპეციფიკას, როგორც მუზიცირების უმთავრესს პირობას; 2. <u>ფლობს</u> კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; 3. <u>აცნობიერებს</u> როგორც საკუთარი თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში; უნარები 1. <u>ასრულებს თავის პარტიას</u> სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. <u>ასრულებს</u> ჯგუფში საკუთარ პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებული წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის მნიშვნელობის გააზრებას. 3. <u>ადაპტირებს</u> დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე; 4. <u>გეგმავს</u> დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს, რაც გულისხმობს: ყველა ელემენტის - მუსიკალურ გამომსახველობითი და ტექსტური სირთულის შესწავლას. 5. <u>აანალიზებს</u> შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებსა და შეცდომებს და ასწორებს მათ; 6. <u>აფასებს</u> საკუთარი სწავლის პროცესს; 7. <u>მუშაობს</u> გუნდში; 8. <u>ითვალისწინებს</u> პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში;

	V სემესტრი ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; 2. აცნობიერებს როგორც საკუთარი თავის, ისე ორკესტრის ცალკეული წევრის როლს საერთო საქმეში; უნარები 1. ასრულებს პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. ასრულებს პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებულ წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის, ერთიანი შესვლებისა და დაბოლოების გათვალისწინებით. 3. ადაპტირებს დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე; 4. გეგმავს დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს. 5. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებს და ასწორებს მათ; 6. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს; 7. მუშაობს გუნდში; 8. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში; **VI სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; უნარები 1. ასრულებს პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. ასრულებს პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებულ წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის, ერთიანი შესვლებისა და დაბოლოების გათვალისწინებით. 3. ადაპტირებს დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე; 4. გეგმავს დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს. 5. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებს და ასწორებს მათ; 6. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს; 7. მუშაობს გუნდში; 8. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში; **VII სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; უნარები 1. ასრულებს პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. ასრულებს პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებულ წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის, ერთიანი შესვლებისა და დაბოლოების გათვალისწინებით. 3. ადაპტირებს დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე;

	4. გეგმავს დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს. 5. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებს და ასწორებს მათ; 6. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს; 7. ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; 8. მუშაობს გუნდში; 9. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში; **VIII სემესტრი** ცოდნა და გაცნობიერება 1. ფლობს კურსის ფარგლებში განვლილ რეპერტუარს; უნარები 1. ასრულებს პარტიას სწავლის ეტაპის დონის შესაფერისად. 2. ასრულებს პარტიას საორკესტრო სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს - ორკესტრის ჯგუფების მოსმენასა და ბალანსში დაკვრას, უნიფიცირებულ წყობის, შტრიხების, ფრაზირების, ტემპის, ერთიანი შესვლებისა და დაბოლოების გათვალისწინებით. 3. ადაპტირებს დირიჟორის განსხვავებულ ჟესტიკულაციაზე და რეაგირებს მის მითითებებზე; 4. გეგმავს დამოუკიდებლად საკუთარი საორკესტრო პარტიის სწავლის პროცესს. 5. აანალიზებს შესრულების პროცესში დაშვებულ საკუთარ ხარვეზებს და ასწორებს მათ; 6. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს; 7. ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; 8. მუშაობს გუნდში; 9. ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმებებსა და დისციპლინის მნიშვნელობას მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივში;

კურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია	**რეპერტუარის შერჩევა და სწავლების პროცესის დაგეგმვა:** ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს პროექტის რეპერტუარის შემრჩევი ჯგუფი (შემადგენლობა: დირიჟორი, ტუტორი, სიმებიანის წარმომადგენელი, ჩასაბერის წარმომადგენელი, მენეჯერი, ხარისხის წარმომადგენელი) განსაზღვრავს მომდევნო სემესტრისთვის პროექტიების რეპერტუარსა და რაოდენობას. აღიშნული ჯგუფი შეიმუშავებს დეტალურ სამუშაო გრაფიკს ინდივიდუალური, ჯგუფური, გაერთიანებული და გენერალური რეპეტიციებისათვის, ასევე ღია კონცერტის კონკრეტული ვადების მითითებით. ჯგუფის მიერ შემუშავებული რეპერტუარისა და სამუშაო გრაფიკის შესახებ ინფორმაციის მონაწილეებისათვის (სტუდენტები, პერსონალი) გაცნობას უზრუნველყოფს **საორკესტრო კლასის მენეჯერი** სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. რეპერტუარისა და სამუშაო გრაფიკის გაცნობისთანავე ტუტორები გუნდის სხვა წევრებთან ერთად სტუდენტებს აძლევენ კონკრეტულ მითითებებს პარტიის სწავლის ეფექტური სტრატეგიების შესახებ.

	სტუდენტის სწავლის პროცესი მოიცავს 3 ძირითად ეტაპს: 1) პარტიის ინდივიდუალური დასწავლა ტუტორის ზედამხედველობით; 2) პარტიის მცირე ჯგუფში შესრულება/რეპეტიცია ტუტორის ზედამხედველობით; 3) პარტიის გაერთიანებულ გუნდში შესრულება/რეპეტიცია ტუტორის/დირიჟორის მენტორობით; მე-2 და მე-3 ეტაპი მიმდინარეობს კონცერტამდე 10-14 დღე აქტიური რეპეტიციების (გუნდური სამუშაოები) სახით. რეპეტიციების დაწყების ათვლის წერტილია კონცერტის დამტკიცებული თარიღი. **შეფასება:** მოდულის თითეული პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს კოლექტიური შედეგი რეპრეზენტირდება გენერალური რეპეტიციისა და ღია კონცერტის სახით, რომელსაც ახლავს ყველა ის აუცილებელი კომპონენტი, რაც საჭიროა რეალური სიმფონიური ორკესტრისათვის; ტუტორის მიერ შეფასებას ექვემდებარება სწავლის ზემოჩამოთვლილი 2 ეტაპი, კერძოდ: 1) პარტიის ინდივიდუალური დასწავლა (*შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №1)*; აღნიშნული შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომას I-IV და V-VIII სემესტრის სტუდენტებისათვის. 2) პარტიის მცირე ჯგუფში და გაერთიანებულ რეპეტიციაზე შესრულება *(შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №2*); გაერთიანებული ჯგუფური რეპეტიციის პროცესი ფასდება სტუდენტის თვითშეფასების რუბრიკით (*იხ. დანართი №3*). გენერალური რეპეტიცია და ღია კონცერტი ფასდება ჩათვლით ან არ ჩათვლით. შეფასების აღნიშნული მეთოდი განპირობებულია საორკესტრო შესრულების სპეციფიკით, რაც მდგომარეობს ინსტრუმენტთა მრავალფეროვნების, შემსრულებელთა დიდი რაოდენობის, შემოქმედებითი პროცესის მრავალშრიანობის, პროცესში კონცერტმაისტერისა და დირიჟორის ჩართულობით და სხვ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორკესტრის შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დირიჟორის ინტერპრეტაციულ გადაწყვეტილებებზე. დირიჟორის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველა სახის პრობლემის აღმოფხვრა, რომელიც შესაძლოა აღმოცენდეს შესრულების დროს. ორკესტრი და დირიჟორი, როგორც ერთი პროცესის მონაწილეები ურთიერთდამოკიდებულები არიან, შესაბამისად, გენერალური რეპეტიციის და/ან ღია კონცერტში ჩართული სტუდენტების შეფასება ვერ იქნება ობიექტური, რადგან რთულია გაიმიჯნოს დირიჟორის, მთლიანი ორკესტრის თუ ორკესტრის ჯგუფის როლი და კონტრიბუცია წარმატებულ შესრულებაში.

დანართი 1

ინდივიდუალური მეცადინეობების შეფასების რუბრიკა					
ინდიკატორი	**40-36 ქულა**	**35-31 ქულა**	**30-26 ქულა**	**25-21 ქულა**	**20-0 ქულა**
1. **ინსტრუმენტული ბგერის სიზუსტე, ინტონაცია V-VIII სემესტრებისთვის**	*ბგერა არის კონცენტრირებული და სტაბილურად ზუსტი ინსტრუმენტის მთელ დიაპაზონზე. თითქმის არ გვხვდება* ***ინტონაციური*** *უზუსტობა..* *ბგერა გამოირჩევა პროფესიონალური ხარისხით.*	*ბგერა არის მეტწილად კონცენტრირებული და სტაბილურად ზუსტი ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში.* *გვხვდება ცალკეული გადაცდომა, თუმცა,* ***ინტონაცია*** *მეტწილად ზუსტი და სტაბილურია.* *ზედა და ქვედა დიაპაზონში ბგერა მეტწილად კონტროლირებადია.* *ბგერის ხარისხი ხელს არ უშლის შესრულების აღქმას.*	*ბგერა არის მეტნაკლებად კონცენტრირებული და გამოირჩევა მეტნაკლები სიზუსტით;* ***ინტონაცი****ა მეტნაკლებად ზუსტია, თუმცა ხშირია განმეორებადი შეცდომები.* *ბგერა მეტნაკლებად კონტროლირებადია ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში.* *ხანდახან ბგერის ხარისხი ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*	*ბგერა მეტწილად არაკონცენტრირებულია და გამოირჩევა მეტწილად უზუსტობით;* *ბგერა მეტწილად არაკონტროლირებადია ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში.* ***ინტონაცია*** *მეტწილად უზუსტოა, ხშირია განმეორებადი შეცდომები.* *ბგერის ხარისხი მეტწილად ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*	*ბგერა არის უმეტესად უკონტროლო და უზუსტო, იშვიათია ზუსტი* ***ინტონაცია.*** *რაც ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*
1. **ინსტრუმენტული ბგერის სიზუსტე, ინტონაცია. I-IV სემესტრებისთვის**	*ბგერა არის მეტწილად კონცენტრირებული და სტაბილურად ზუსტი ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში. გვხვდება ცალკეული გადაცდომა, თუმცა მეტწილად* ***ინტონაცია*** *ზუსტი და სტაბილურია* *ზედა და ქვედა დიაპაზონში ბგერა მეტწილად კონტროლირებადია, ბგერის ხარისხი ხელს არ უშლის შესრულების აღქმას.*	*ბგერა არის მეტნაკლებად კონცენტრირებული და გამოირჩევა მეტნაკლები სიზუსტით;* ***ინტონაცი****ა მეტნაკლებად ზუსტია, თუმცა ხშირია განმეორებადი შეცდომები.* *ბგერა მეტნაკლებად კონტროლირებადია ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში.* *ხანდახან ბგერის ხარისხი ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*	*ბგერა მეტწილად არაკონცენტრირებულია და გამოირჩევა მეტწილი უზუსტობით;* ***ინტონაცია*** *მეტწილად უზუსტოა, ძალიან ხშირია განმეორებადი შეცდომები.* *ბგერა მეტწილად უკონტროლოა ინსტრუმენტის საშუალო დიაპაზონში.* *ბგერის ხარისხი მეტწილად ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*	*ბგერა არის უმეტესად უკონტროლო და უზუსტო, რაც ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.* *იშვიათია ზუსტი* ***ინტონაცია.***	*ბგერა არის უკონტროლო, რაც შესრულებას არასრულფასოვანს ხდის.* ***ინტონაცია უზუსტოა.***

2. გამომსახველობა და სტილი V-VIII სემესტრებისთვის	***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები, ნიუანსები) არის მკაფიო და სტაბილური.* ***რიტმი:*** *პულსაცია (ბითი) სტაბილურია;* ***ფრაზირება*** *არის ყოველთვის თანმიმდევრული და მგრძნობიარე შესრულებული მუსიკის სტილისა და ეპოქის მიმართ.* ***არტიკულაცია*** *- შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…)) არის ზუსტი. არტიკულაციური ნიშნები ზუსტად არის შესრულებული ისე, როგორც წერია ნოტებში, ან დირიჟორის/ტუტორის მითითებისამებრ.*	***რიტმი*** *პულსაცია (ბითი) მეტწილად სტაბილურია;* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები, ნიუანსები) არის მეტწილად მკაფიო და სტაბილური,* ***ფრაზირება*** *მეტწილად არის თანმიმდევრული და მგრძნობიარეა შესრულებული მუსიკის სტილისა და ეპოქის მიმართ.* ***არტიკულაცია:.***.*შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხი (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) არის მეტწილად სტაბილური, თუმცა შეიძლება იყოს მცირედი მერყეობა. არტიკულაციური რემარკები სრულდება ყურადღებით, ნოტებში არსებული ან დირიჟორის/ტუტორის მიერ მიცემული მითითებების გათვალისწინებით.*	***რიტმი:*** *პულსაცია ხანდახან დარღვეულია. რიტმული ნახაზი მეტნაკლებად სწორია.* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები, ნიუანსები) მეტნაკლებად ზუსტი და სტაბილურია.* ***ფრაზირება*** *მეტნაკლებად თანმიმდევრულია, მეტნაკლებად ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია:.***.*შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა),აქცენტები, ტენუტო…)) მეტნაკლებად სტაბილურია, თუმცა შეინიშნება გარკვეული მერყეობა. არტიკულაციური რემარკები სრულდება მეტნაკლები ყურადღებით, დირიჟორის/ტუტორის მიერ მიცემული მითითებების შედეგად.*	***რიტმი:*** *პულსაცია მეტწილად დარღვეულია. რიტმული ნახაზი მეტწილად არასწორია.* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები) მერყეობს, თუმცა შესაძლებელია მათი გარჩევა.* ***ფრაზირება*** *მეტწილად არათანმიმდევრულია, მეტწილად არ ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია:.***.*შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხი (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) მეტწილად არასტაბილურია. არტიკულაციური რემარკები სრულდება სანოტო აღნიშვნების ან დირიჟორის/ტუტორის მითითებების შესაბამისად.*	***რიტმი:*** *პულსაცია საგრძნობლად დარღვეულია, რიტმული ნახაზი იშვიათადაა გამართული,* ***დინამიკურ*** *გრადაციებს (დონეებს) ყურადღება არ ეთმობა.* ***ფრაზირება*** *იშვიათად არის თანმიმდევრული, ნაკლებად ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია: .***.*შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) უზუსტოა. სანოტო რემარკები და დირიჟორის მითითებები თანმიმდევრულად არ სრულდება.*
2. გამომსახველობა და სტილი I-IV სემესტრებისთვის	***რიტმი*** *პულსაცია (ბითი) მეტწილად სტაბილურია;* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები, ნიუანსები) მეტწილად მკაფიო და სტაბილურია,* ***ფრაზირება*** *მეტწილად თანმიმდევრული და მგრძნობიარეა შესრულებული მუსიკის სტილისა და ეპოქის მიმართ.* ***არტიკულაცია*** *- შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) მეტწილად სტაბილურია, თუმცა შეიძლება იყოს მცირედი*	***რიტმი:*** *პულსაცია ხანდახან დარღვეულია. რიტმული ნახაზი მეტნაკლებად სწორია.* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები, ნიუანსები) მეტნაკლებად ზუსტი და სტაბილურია.* ***ფრაზირება*** *მეტნაკლებად თანმიმდევრულია. მეტნაკლებად ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია:*** *შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) მეტნაკლებად სტაბილურია,*	***რიტმი:*** *პულსაცია მეტწილად დარღვეულია. რიტმული ნახაზი მეტწილად არასწორია.* ***დინამიკური*** *გრადაციები (დონეები) მერყეობს, თუმცა შესაძლებელია მათი გარჩევა.* ***ფრაზირება*** *მეტწილად არათანმიმდევრულია, არ ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია -***.*შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) მეტწილად არასტაბილურია. არტიკულაციური რემარკები	***რიტმი:*** *პულსაცია საგრძნობლად დარღვეულია, რიტმული ნახაზი იშვიათადაა გამართული.* ***დინამიკურ*** *გრადაციებს (დონეებს) ყურადღება არ ეთმობა.* ***ფრაზირება*** *იშვიათად არის თანმიმდევრული, ნაკლებად ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია:*** *შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა), აქცენტები, ტენუტო…) იშვიათადაა ზუსტი. სანოტო რემარკები და დირიჟორის მითითებები*	***რიტმი:*** *პულსაცია დარღვეულია, რიტმული ნახაზი გაუმართავი.* ***დინამიკურ*** *გრადაციებს (დონეებს) ყურადღება არ ეთმობა.* ***ფრაზირება*** *არ ითვალისწინებს სტილისა და ეპოქის თავისებურებებს.* ***არტიკულაცია:*** *შტრიხები და ბგერის აღების სხვადასხვა ხერხები (შესვლები (ატაკა),აქცენტები, ტენუტო…) უზუსტოა. სანოტო რემარკები და დირიჟორის მითითებები თანმიმდევრულად არ სრულდება.*

	მერყეობა. არტიკულაციური რემარკები სრულდება ყურადღებით, ნოტებში არსებული ან დირიჟორის/ტუტორის მიერ მიცემული მითითებების გათვალისწინებით.	*თუმცა შეინიშნება გარკვეული მერყეობა. არტიკულაციური რემარკები სრულდება მეტნაკლები ყურადღებით, დირიჟორის/ტუტორის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად.*	*ხშირად სრულდება სანოტო აღწშვნების ან დირიჟორის/ტუტორის მითითებების შესაბამისად.*	*თანმიმდევრულად არ სრულდება.*	
3. ნოტების (ბგერათა) სისწორე	*ნოტები არის სტაბილურად ზუსტი.*	*მეტწილად გვხვდება არასწორი ნოტი, თუმცა არ მოქმედებს ზოგად შთაბეჭდილებაზე ანუ საერთო შესრულებაზე.*	*მეტნაკლებად გვხვდება არასწორი ნოტები, რაც მცირე ზეგავლენას ახდენს საერთო შესრულებაზე.*	*გვხვდება მეტწილად უზუსტო ბგერები, რაც ნიშანდობლივ ზეგავლენას ახდენს საერთო შესრულებაზე.*	*უზუსტო ბგერები ხელს უშლის საერთო შესრულების აღქმას.*
4. მეცადინეობა	*სტუდენტის შესრულებას ეტყობა, რომ მიმდინარეობს რეგულარული და უწყვეტი კლასგარეშე მეცადინეობა და ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სირთულეების დაძლევას.(რთულ ადგილებზე მუშაობა)*	*სტუდენტის შესრულებას ეტყობა, რომ მიმდინარეობს მეტწილად რეგულარული და უწყვეტი კლასგარეშე მეცადინეობა და ამ პროცესში გარკვეული ყურადღება ეთმობა სირთულეების დაძლევას. (რთულ ადგილებზე მუშაობა)*	*სტუდენტის შესრულებას ეტყობა, რომ მიმდინარეობს გარკვეული კლასგარეშე მეცადინეობა მეტნაკლები მონდომებით და ამ პროცესში ნაკლები ყურადღება ეთმობა სირთულეების დაძლევას. (რთულ ადგილებზე მუშაობა)*	*სტუდენტის შესრულებას ეტყობა, რომ მიმდინარეობს მეტწილად არარეგულარული კლასგარეშე მეცადინეობა და ამ პროცესში ყურადღება თითქმის არ ეთმობა სირთულეების დაძლევას. (რთულ ადგილებზე მუშაობა)*	*სტუდენტის შესრულებას ეტყობა, რომ კლასგარეშე მეცადინეობა საჭირო რაოდენობით არ მიმდინარეობს და ამ პროცესში საერთოდ არ ეთმობა ყურადღება სირთულეების დაძლევას. (რთულ ადგილებზე მუშაობა)*
5. ყურადღება და კონცენტრაცია კლასის (საკლასო/სარეპეტიციო) მუშაობისას	*სტუდენტი მობილიზებულია და ყურადღებით ასრულებს ტუტორის/ დირიჟორის მითითებებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.*	*სტუდენტი, მეტწილად მობილიზებულია რეპეტიციის განმავლობაში, ასრულებს ტუტორის/ დირიჟორის მითითებებს, თუმცა ხანდახან სჭირდება მოტივირება სრული კონცენტრირებისათვის.*	*სტუდენტი, რეპეტიციის განმავლობაში მეტნაკლებად მობილიზებულია, იოლად ეფანტება ყურადღება, თუმცა ხშირი მოტივირების შედეგად ახერხებს მეტნაკლებად კონცენრირებას.*	*სტუდენტი, რეპეტიციის განმავლობაში მეტწილად უყურადღებოდაა, იოლად ეფანტება ყურადღება და, შესაძლოა, ხშირად ახდენდეს სხვათა დემობილიზებასაც.*	*სტუდენტი სრულად არამობილიზებული და არაკონცენტრირებულია სამუშაოზე. ხანდახან ხელს უშლის სრულ კლასს.*

დანართი 2

ჯგუფური და გაერთიანებული მეცადინეობების შეფასების რუბრიკა				
ინდიკატორი	30-26 ქულა	25-17 ქულა	20-15 ქულა	14-0 ქულა
1. ჩართულობა სარეპეტიციო პროცესში	*სტუდენტი მობილიზებულია და ყურადღებით ასრულებს ტუტორის/ დირიჟორის მითითებებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.*	*სტუდენტი, მეტწილად მობილიზებულია რეპეტიციის განმავლობაში, ასრულებს ტუტორის/ დირიჟორის მითითებებს, თუმცა ხანდახან სჭირდება მოტივირება სრული კონცენტრირებისათვის.*	*სტუდენტი, რეპეტიციის განმავლობაში მეტნაკლებად მობილიზებულია, იოლად ეფანტება ყურადღება, თუმცა ხშირი მოტივირების შედეგად ახერხებს მეტნაკლებად კონცენრირებას.*	*სტუდენტი, რეპეტიციის განმავლობაში მეტწილად უყურადღებოა, იოლად ეფანტება ყურადღება და, შესაძლოა, ხშირად ახდენდეს სხვათა დემობილიზებასაც.* *სტუდენტი სრულად არამობილიზებული და არაკონცენტრირებულია სამუშაოზე. ხელს უშლის სრულ კლასს.*
. პროგრესი მეცადინეობების პროცესში	*სტუდენტი ზედმიწევნით ითვალისწინებს ტუტორის მითითებებს, აანალიზებს საკუთარ შეცდომებს ჯგუფური მეცადინეობის პროცესში და ყოველთვის აუმჯობესებს შედეგს ყოველ შემდგომ რეპეტიციაზე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტწილად ითვალისწინებს ტუტორის მითითებებს, აანალიზებს საკუთარ შეცდომებს ჯგუფური მეცადინეობის პროცესში და მეტწილად აუმჯობესებს შედეგს ყოველ შემდგომ რეპეტიციაზე, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტნაკლებად ითვალისწინებს ტუტორის მითითებებს და აუმჯობესებს შედეგებს ყოველ შემდგომ რეპეტიციაზე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტწილად არ ითვალისწინებს ტუტორის მითითებებს და მცირედ აუმჯობესებს საკუთარ შედეგებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში.* *სტუდენტი არ ითვალისწინებს ტუტორის მითითებებს და ვერ აუმჯობესებს საკუთარ შედეგს.*
3. თანამშრომლობა, პოზიტიურობა და ლიდერობა ჯგუფური მუშაობის პროცესში	*სტუდენტი ყოველთვის მზადაა, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესისა და განვითარებისათვის. მუდმივად პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ.* *მზადაა წაახალისოს სხვები სამუშაო პროცესში.*	*სტუდენტი მეტწილად მზადაა, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესისა და განვითარებისათვის. -მეტწილად პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ. ხელს უწყობს ჯგუფის მუშაობას.*	*სტუდენტი მეტნაკლებად მზადაა, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესისა და განვითარებისათვის. მეტნაკლებად პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ.*	*სტუდენტი მეტწილად არაა მზად, გააკეთოს ის, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესისა და განვითარებისათვის. ნაკლებად პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ.* *სტუდენტს არ აქვს სურვილი, გაიღოს ძალისხმევა ჯგუფური სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. ნეგატიური განწყობა შემოაქვს რეპეტიციებზე.*
4. ბალანსი (საკუთარი თავის და ანსამბლის ერთად მოსმენა)	*სტუდენტი აცნობიერებს ინსტრუმენტების წყობის საკითხის, უნიფიცირებული შტრიხების, ინტონირების, რიტმის, დინამიკის და ფრაზირების მნიშვნელობას ანსამბლის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტწილად აცნობიერებს ინსტრუმენტების წყობის საკითხის, უნიფიცირებული შტრიხების, ინტონირების, რიტმის, და ფრაზირების მნიშვნელობას ანსამბლის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტნაკლებად აცნობიერებს ინსტრუმენტების წყობის საკითხის, უნიფიცირებული შტრიხების, ინტონირების, რიტმის და ფრაზირების მნიშვნელობას ანსამბლის ფარგლებში.*	*სტუდენტი მეტწილად ვერ აცნობიერებს ინსტრუმენტების წყობის საკითხის, უნიფიცირებული შტრიხების, ინტონირების, რიტმის და ფრაზირების მნიშვნელობას ანსამბლის ფარგლებში.* *სტუდენტი საერთოდ ვერ იცავს ინსტრუმენტების წყობის, უნიფიცირებული შტრიხების, ინტონირების, რიტმის და ფრაზირების წესებს ანსამბლის ფარგლებში.*

5. ჯგუფური პასუხისმგებლობა	*ჯგუფი კარგად იცავს ბალანსს. შესვლები და დაბოლოებები ყოველთვის სინქრონულია. ინსტრუმენტთა წყობა ერთიანია. შტრიხები, ინტონირება, რიტმი, ფრაზირება უნიფიცირებულია.*	*ჯგუფი მეტწილად იცავს ბალანსს. შესვლები და დაბოლოებები უმეტესად სინქრონულია. ინსტრუმენტთა წყობა ერთიანია. შტრიხები, ინტონირება, რიტმი, ფრაზირება მეტწილად უნიფიცირებულია.*	*ჯგუფი მეტნაკლებად იცავს ბალანსს. შესვლები და დაბოლოებები ხშირად სინქრონულია. ინსტრუმენტთა წყობა მეტწილად ერთიანია. შტრიხები, ინტონირება, რიტმი, ფრაზირება მეტნაკლებად უნიფიცირებულია.*	*ჯგუფი მეტწილად ვერ იცავს ბალანსს. შესვლები და დაბოლოებები მეტწილად ასინქრონულია. ინსტრუმენტთა წყობა მეტწილად არ ემთხვევა. შტრიხები, ინტონირება, რიტმი, ფრაზირება მეტწილად არა არის ერთიანი.* *ჯგუფი საერთოდ ვერ იცავს ბალანსს. შესვლები და დაბოლოებები ასინქრონულია. ინსტრუმენტთა წყობა არ ემთხვევა. შტრიხები, ინტონირება, რიტმი, ფრაზირება არა არის ერთიანი.*

დანართი 3

სტუდენტის სახელი, გვარი:

თვითშეფასებისას სვეტებში მონიშნეთ შესაბამისი გრაფა, სადაც ციფრების მნიშვნელობა შემდეგნაირია: 1 - არასოდეს; 2 - იშვიათად; 3 - ხშირად; 4 - ყოველთვის;	1	2	3	4
1. ეფექტურად ვგეგმავ და ვახორციელებ საკუთარი პარტიის სწავლის პროცესს ტუტორის დახმარებით				
2. ეფექტურად ვასრულებ საკუთარ პარტიას მცირე ჯგუფში რეპეტიციების დროს				
3. ვითვალისწინებ მენტორების რეკომენდაციებსა და მითითებებს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით				
4. როგორც გუნდის წევრი, ვაცნობიერებ ჩემ როლს საერთო პროექტის წარმატებით განხორციელებაში				
5. როგორც გუნდის წევრს, წვლილი შემაქვს წარმატებული პროექტის განხორციელებაში				
6. კრიტიკულად ვაანალიზებ შესრულების დროს ჩემ მიერ დაშვებულ ხარვეზებს და ვცდილობ მათ გამოსწორებას				
7. ვიცავ დისციპლინას და ეთიკის ნორმებს თანაკურსელებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობისას				
8. შემაქვს პოზიტიური კონტრიბუცია რეპეტიციების პროცესში				
9. ვადაპტირებ ცვალებად სასწავლო გარემოში (მაგ. დირიჟორის, კონცერტმაისტერის, მენეჯერის ცვლილების დროს)				
10. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისათვის/რჩევისათვის მივმართავ ლექტორს, ტუტორს, დირიჟორს, უფროს ან თანატოლ კოლეგას სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით				
11. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად ვმუშაობ, ვეძებ შესაბამის სასწავლო რესურსებს სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით				